	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე		



<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩინება, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 01</b>		<b>130,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხალხური შემოქმედების შენარჩუნებასა და განვითარებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიებასა და პოპულარიზაციაში. თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მონაწილეობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. განხორციელდება შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, ანსამბლის ბაზაზე ფუნქციონირებს სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოდ მოხდება მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსრულებლად.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	შეუფერხებელი ფუნქციონირება, ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა.		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 02</b>		<b>144,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის #1 სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	თელავის #1 სამუსიკო სკოლაში სწავლობს 132 მოსწავლე (გოგო - 91, ბიჭი - 41) შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 03</b>		<b>121,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა		



ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 103 მოსწავლე (გოგო - 77, ბიჭი -26), შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.
ქვეპროგრამის მიზანი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 04		115,50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში სწავლობს 120 მოსწავლე (გოგო- 90, ბიჭი -30), ისწავლება შემდეგ საგნები: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, მერწყვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახატი საგნების მოძიება-შეგროვება, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე, ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე (ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, თბილისის „ოქროს პეპელა“ და სხვები). ტარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრეკლასები.		
ქვეპროგრამის მიზანი	სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 05		483,80
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”		
ქვეპროგრამის აღწერა	ბიბლიოთეკა არის კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-დამხმარე ხასიათის ინსტიტუტი, რომელიც ორგანიზებას უწევს წიგნების, ჟურნალების, გაზეთების (ბეჭდური ნაშრომების) საზოგადოებრივ გამოყენებას. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა, სხვადასხვა დარგის: ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, მხატვრული ისტორიული შინაარსის მქონე ლიტერატურა შესთავაზოს ყველა ასაკის მკითხველს. ასევე ახალი ლიტერატურის მიღება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო ბარათების წარმოება. საინვენტარო დავთარში გატარება, ელექტრონული კატალოგის შექმნა და არსებული საბარათე კატალოგის შევსება ახალი ბარათებით, ჟურნალ-გაზეთების, სტატიების კარტოთეკების შევსება მასალებით და მათი დამატება ელექტრონულ კატალოგში.  პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება, სამაგიდო თამაშები და სალონური შეხვედრები, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც ახალგაზრდების ჩართულობასა და მივიწყებული წიგნების გაცოცხლებაში, აგრეთვე ახალი წიგნების გაცნობაში და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 06		1476,01
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		





<b>განმახორციელებელი</b>	
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში, თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური ანსამბლების მეშვეობით, ხორციელდება ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ – ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძიება და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული და ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება/განხორციელება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული სამემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება და სხვა); მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა, ქ. თელავში, ვახვახიშვილების კომპის ჩრდილო-დასავლეთით და მის მიმდებარედ არსებული კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია და სხვა.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 08</b>		<b>190,27</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ხორციელდება სკვერების სეზონური დეკორატიული ყვავილებით გაშენება/განახლება, მარადმწვანე ბუჩქების და ხემცენარეების მოვლა პატრონობა და სხვა...		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 09</b>		<b>70,2</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში სწავლობს 65 მოსწავლე (გოგო-49, ბიჭი - 16) სხვადასხვა განყოფილებებზე. ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ფლეიტა) და ხალხური საკრავების (ვანდური) განყოფილებები. მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 10</b>		<b>126,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 105 მოსწავლე (გოგო - 72, ბიჭი - 38) შემდეგ განყოფილებებზე - ფორტეპიანო, ვიოლინო, ხალხური საკრავები, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ფოლკლორი, გალობა; მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ - კონკურსებში. ხორციელდება ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის, სოფ.ბუმეტის, სოფ.ქვემო ხოდაშნის და სოფ.წინანდლის		



	მოსწავლეებს.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 01 11</b>		<b>75,40</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო, ხალხური ტრადიციული მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების განყოფილებები. სკოლაში სწავლობს 51 მოსწავლე (გოგო - 33, ბიჭი - 18). განხორციელდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 02</b>		<b>75,66</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ბეგლთა დაცვის სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ელენე ახვლედიანის სახელობის თელავის სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ქ.თელავში ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია და სხვა...		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>კულტურული ღონისძიებები</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 02 03</b>		<b>57,0</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა ხელოვანთა და მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ხელშეწყობას, განხორციელებს მასტერკლას - სემინარები თანამედროვე ხელოვნებაში ოთხი მიმართულებით: თანამედროვე კინო. კერამიკა, თეატრი და მხატვრობა; სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა) და სხვა.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა, კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა.		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ახალგაზრდობის მხარდაჭერა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
-----------------------------	-------------	---------------------------------	---



	05 03		105,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა...		
<b>პროგრამის მიზანი</b>	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	05 03 01		105,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა; საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“; საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა; ექსკურსია - სხვადასხვა შემეცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა...		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	05 04		40,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დაწყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა;		
<b>პროგრამის მიზანი</b>	თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა.		

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>ძეგლთა დაცვის ღონისძიებები</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	05 05		334,0
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
	პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე. დაგეგმილია ქ. თელავში „კაკლის წყაროს“ რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა,		



<b>პროგრამის აღწერა</b>	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენა/კვლევა, სოფელ თეთრწყლბში ფსიტის ციხის არქეოლოგიური სამუშაოები, დაბახნების ტერიტორიის არქეოლოგიური სამუშაოები, დაბახნების ტერიტორიის კონსერვაცია, ყორჩბაშიშვილების სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, ქ. თელავში ისტორიული ჭადრის ხის სხვადასხვა სახის ღონისძიებების განხორციელება, საგამომცემლო მომსახურება და სხვა...
<b>პროგრამის მიზანი</b>	შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გაზრდილია კულტურული ძეგლების ცნობადობა.  პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

<b>პროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>05 06</b>		<b>854,57</b>
<b>პროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
<b>პროგრამის აღწერა</b>	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში კავკასიონის ქუჩის მიმდებარედ სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქ. თელავში ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის (მანანწარაზე) რეაბილიტაცია; ქ. თელავში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორია) სკვერის მოწყობა; სოფელ რუისპირში სკვერის მოწყობა; ქ. თელავში, კოსტავას ქუჩაზე არსებული „9 აპრილის“ სკვერის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ე.წ. „ყადორის სკვერის“ რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ზუზუმბოს ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია, ტრენაჟორების მოწყობით; ქ. თელავში, ძმები ბოჭორიძეების ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; სოფელ ლალისყურში სტიქიის შედეგად დაზიანებული ენერგოეფექტური სკამის რეაბილიტაცია, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა და სხვა...		
<b>პროგრამის მიზანი</b>	კომფორტული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასასვენებელი სივრცეები.  პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		

## 5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4032.35	0.00	4032.35
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	270.10	0.00	270.10
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	270.10	0.00	270.10



06 02	სოციალური დაცვა	3742.25	0.00	3,742.25
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	45.00	0.00	45.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	304.70	0.00	304.70
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	4.70	0.00	4.70
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	300.00	0.00	300.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	1075.00	0.00	1,075.00
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უკატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	6.00	0.00	6.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	272.50	0.00	272.50
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	2.00	0.00	2.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	109.00	0.00	109.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	120.00	0.00	120.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	75.00	0.00	75.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	1414.89	0.00	1,414.89
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	300.76	0.00	300.76
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40	0.00	2.40
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება	15.00	0.00	15.00
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	20.00	0.00	20.00

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01		270,10
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		
პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება		



პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 01		270,10
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „ც“ ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.		
ქვეპროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02		3742,25
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს გენდერულად მგრძობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს საჭიროებების გათვალისწინებას.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) (ერთჯერადი) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიური) დახმარებას;</li> <li>- სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას;</li> <li>- ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას;</li> <li>- სოციალურად გაჭირვებული ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას; - ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით თანადაფინანსების უზრუნველყოფა.</li> <li>- სხვა სოციალურ ღონისძიებებს</li> </ul>		
პროგრამის მიზანი	<p>სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.</p>		



პროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 01		45,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას, ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება დასახლებების ზონირების შესაბამისად.		
ქვეპროგრამის მიზანი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 01		4,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 02		300,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) სუბსიდირება, თითოეულ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით. დაფინანსება მოხდება წლის განმავლობაში ერთჯერადად და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია მატერიალური დახმარებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 03		1075,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური		
	თელავში მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად გაჭირვებული ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ		



ქვეპროგრამის აღწერა	გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები, მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“.
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფითი პირობების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 04		6.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი), დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი	გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 05		272,50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს - 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვზე გაიცემა ყოველთვიური დაფინანსება არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე დახმარება - გაიცემა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე წლის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველ სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, პირველ ახალშობილზე დაფინანსდება არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე - არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში - არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, ხოლო სამი ტყუპის დაბადების შემთხვევაში არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ირიცხებიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით; კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ან/და ფაქტობრივად ცხოვრობენ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფას წელიწადში ერთჯერადად და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველთა ოჯახებში ახალშობილთა დაბადებისას ერთჯერადი ფინანსური დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსური დახმარების გაწევა. აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა საზოგადოება	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 06		2,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		





ქვეპროგრამის აღწერა	ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის მიზანი	ვეტერანთა თანადგომა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 07		109,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, 18 წლამდე ასაკის უდემდამო ბავშვები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრობა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.		
ქვეპროგრამის მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერჯის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა, ტრანსპორტით ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 08		120,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით მოსარგებელ კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები, სადაც ცხოვრება საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებელე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 120 ლარის ფარგლებში.		
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებელ კატეგორიის უზრუნველყოფილა გარკვეული დროით თავშესაფრით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 09		75,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
	საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა შემდეგი სამიზნე ჯგუფებისათვის:		



ქვეპროგრამის აღწერა	მრავალმხრივი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, უდემამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	06 02 10		1414,89
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარების დაფინანსებას ლიმიტირებული თანხის ფარგლებში, რომლის ოდენობა შეადგენს 1800 ლარს. ლიმიტის გამოყენება შესაძლებელია საჭიროებისამებრ წლის განმავლობაში რამდენჯერმე, სხვადასხვა სახის სამედიცინო (სტაციონარული, ოპერაციული ან/და ამბულატორიული) მომსახურების, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ან/და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დასაფინანსებლად; ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმდებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს; თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული: მარტოხელა მშობლები; 18 წლამდე ასაკის ბავშვები; მარჩენალდაკარგულები; მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; იძულებით გადაადგილებული პირები; 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები; ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები. ბენეფიციარები დაფინანსდებიან ლიმიტირებული თანხის ფარგლებში, რომლის ოდენობა შეადგენს 350 ლარს. ლიმიტის ათვისება შესაძლებელია ერთჯერადად ან საჭიროებისამებრ წლის განმავლობაში რამდენჯერმე; ქვეპროგრამა ითვალისწინებს, სტაციონალური, ამბულატორიული და სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსებას, გარდა სტომატოლოგიური მომსახურებისა, თანადაფინანსებას მიმდებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტობრივი საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლები; მარჩენალდაკარგულები; მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირები; იძულებით გადაადგილებული პირები; 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები; ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები. ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთჯერადად. ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთჯერადად, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება მოხდება პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხის 80%-ით, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან ქვეპროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ სამიზნე ჯგუფს, მაგრამ განიცდიან ეკონომიკურ გაჭირვებას, საჭიროებენ დახმარებას და პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 1500 ლარს. ასეთი კატეგორიის ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია. დაფინანსება განხორციელდეს პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 80%-ის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით; ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები.	
ქვეპროგრამის მიზანი		ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის მედიკამენტების და მკურნალობის თანადაფინანსებით/დაფინანსებით უზრუნველყოფა.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	06 02 11		300,76
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „ალტერ ევო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზარდი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა. საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის, თანადაფინანსება; მუსიკათერაპიის სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება; თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული	



	აუტისტური სპექტრის (18 წლამდე) ბავშვების სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება; მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის ჰიგიენური და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსება;
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	აღნიშნული კატეგორიის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>კოდი</b>	<b>1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება</b>	<b>2024 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)</b>
	<b>06 02 14</b>		<b>2,4</b>
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამა ითვალისწინებს 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას.		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მატერიალური დახმარება		

